სტუდენტების ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში

ლუკა ბერაია

ნინო ხაზალია

მარიამ ჩადუნელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლუკა ბერაია

ნინო ხაზალია

მარიამ ჩადუნელი

23.07.2024

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ნამუშევარს, რომელიც შესრულებულია განათლების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. კვლევის მიზანია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომზე ჯგუფებში მუშაობის ეფექტურობის შეფასება, ჯგუფური მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, ამ გამოწვევების საპასუხო რეკომენდაციების შემუშავება, ინტერვენციების დაგეგმვა და მათი განხორციელება მუშაობის პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ნაშრომი შესრულებულია პრაქტიკის კვლევის მეთოდზე დაფუძნებით, რაც მოიცავს სადიაგნოსტიკო კვლევის ჩატარებას, ინტერვენციების შემუშავებას, მათ განხორციელებას და შემდეგ ინტერვენციების შეფასებას. სადიაგნოსტიკო კვლევა ჩატარდა მაგისტრანტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის, მაგისტრანტთა ფოკუს ჯგუფების და ინტერვიუირების მეთოდებით. გამოვლენილ გარემოებებზე დაყრდნობით შემუშავდა კონკრეტული ინტერვენციები, რომელთა ნაწილიც განხორციელდა და შეფასდა, ნაწილი კი თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, განისაზღვრა მომავალი აკადემიური სემესტრიდან შესასრულებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამაგისტრო ნაშრომი, ჯგუფური მუშაობა, უმაღლესი განათლება, სტუდენტის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ჯგუფური მუშაობის პროცესში.

Abstract

The thesis is the work of students of the Master's Program in Educational Administration of LEPL - Ilia State University, completed for the Master's Degree in Educational Administration. The goal of the study is to evaluate the effectiveness of working in groups on the master's thesis within the framework of the master's program of education administration, to identify the challenges in the group work process, to develop recommendations to respond to these challenges, to plan interventions and to implement them in order to increase the efficiency of the work process.

The research is made based on action research that includes diagnostical research, development and implementation of interventions and their evaluation. Surveys created for acting students and program graduates, focus groups and in-depth interviews were used for the diagnostic stage of the research. Part of adopted interventions were implemented and evaluated. The other part of them, depending on the specificity of the topic, were determined for the future academic semester.

Keywords: group work, master thesis, higher education, individual responsibility of students in a group work.

მადლობა

მადლობა გვინდა გადავუხადოთ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის პროფესორ-მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას, მაგისტრანტებსა და მაგისტრებს სამაგისტრო პროგრამისა და უშუალოდ აღნიშნული სამაგისტრო კვლევის ფარგლებში გაწეული შრომისა და დახმარებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ, ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, მაია ბიწაძეს, რომლის მიერ გაწეული დახმარება მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვისათვის.